



ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №783900

ნომერი: AR1143624

თარიღი : 02.07.2013

გაცემის თარიღი : 10.07.2013

გაცნობის თარიღი : 11.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დილომი ;

თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 3 ბ. 39

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოდერძი სიხარულიძე პ/ნ 01019057943

ნომენკლატურა :


- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი



თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელი დილომი, მოქ. გოდერძი სიხარულიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №037/344) I კლასის საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ. გოდერძი სიხარულიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №892012083189 13.11.2012წ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №01.72.14.037.344, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სოფელი დილომი, მოქ. გოდერძი სიხარულიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №037/344) I კლასის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან გასათვალისწინებელია:

- საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შემთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის, ფანჯრის, ფრამუგის, სამტრედეს და სხვა..., ასევე აივნის ერკერის და ტერასის მოწყობა, შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);
- სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;
- სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე-არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.